

## შორენა ლომაია

დუზჯეს უნივერსიტეტი (თურქეთი).

კავკასიური ენებისა და კულტურის განყოფილება, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

## ქართველური ენობრივი სისტემა პროფესორ რევაზ შეროზიას ნაშრომებში

### აბსტრაქტი

პროფესორი რევაზ შეროზია საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენელია. მისი ბიოგრაფია მეცნიერული და ადამიანური კეთილსინდისიერების უზადო მაგალითია ჩვენთვის და იქნება მომავალი თაობებისთვისაც. მისი ნაშრომების წაკითხვა-გააზრება-განალიზება ქართველოლოგიით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის (და არამარტო) მათი სწორი ორიენტირების მიმცემი და დამკვალიანებელი იქნება.

პროფ. რევაზ შეროზია, როგორც მასწავლებელი და მერე როგორც კოლეგა, ჩვენთვის იყო პროფესიული ფუფუნების, აკადემიზმის, ინტელექტუალიზმის ზენიტში მყოფობა. როგორც იყო ურთიერთობებში, ასეთივე სიმაღლის არის მისი ნაფიქრ-ნააზრევი სამეცნიერო ნაშრომებში.

რევაზ შეროზიას კვლევები მრავალფეროვანია. ამჟამად გამოცხადით ქართული (ქართველური) ენობრივი პოლიტიკის საკითხები, რაც იმთავითვე გულისხმობს ქართული (ქართველური) ენობრივის სისტემის თემაზე მსჯელობასაც. არ არსებობს პროფ. რევაზ შეროზიას სამეცნიერო ნაშრომი, იქნება ეს ქართველური ენის სტრუქტურის საკითხები, ეტიმოლოგიური დაკვირვებანი, თუ ეროვნული ქართველოლოგიის სხვა რიგი პრობლემები, სადაც მეცნიერი ხაზს არ უსვამდეს იმას, რომ თანამედროვე ქართველურ ენათმეცნიერებაში „ქართველური ენობრივი სივრცე ერთიანია და ის არ იყოფა რამდენიმე ენად!“

„ქართველი ერი ქართველურმა ენობრივმა სისტემამ ჩამოაყალიბა. ქართველური საეკლესიო-სალიტერატურო და სახელმწიფო ენა ტაო-კლარჯებმა, თუშებმა, მეგრელაზებმა, ხევსურებმა, მესხებმა, სვანებმა, კახ-ინგილოებმა შექმნეს. ამ ენაზე დაინერა მონამეთა წიგნები, საისტორიო ქრონიკები, „ვეფხისტყაოსანი“, „ბაზალეთის ტბა“. დღესაც ქართველი ერი ქართველური ენით აღწერს სამყაროს, ამ ენით ხედავს, ქმნის და გრძნობს. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი ამ ენის ნაირსახეობებით უზიარებენ ერთმანეთს სიხარულსა და სატკივარს, ნაფიქრსა და ნანახ გაგონილს!

ქართველური ენის სიმძლავრე ერთობასა და ნაირფეროვნებაშია!“

პროფ. რევაზ შეროზიას მრავალმხრივ საინტერესო მეცნიერული პატიოსნებით გამსჭვალულ ნაშრომებში წარმოდგენილი ენობრივი სისტემის თუ ენობრივი პოლიტიკის არაერთი პრობლემური საკითხია დასმული, რომლის გადაჭრა საშური საქმეა. ამიტომაც ჩვენი უფროსი მასწავლებლის და გამორჩეული მკვლევრის სამეცნიერო მემკვიდრეობის პათოსს უნდა იცნობდეს მომავალი თაობა.

**Sorena Lomaia**

*Associate Professor at Düzce University (Turkey), Department of Caucasian Languages and Cultures, Program in Georgian Language and Literature.*

## THE KARTVELIAN LINGUISTIC SYSTEM IN THE WORKS OF PROFESSOR REVAZ SHEROZIA

### ABSTRACT

*Professor Revaz Sherozia is a distinguished representative of Georgia's scholarly community. His biography stands as an exemplary model of both scientific and human integrity—one that serves as a guide for us today and will remain instructive for future generations. The reading, comprehension, and analysis of his works will provide valuable orientation and guidance not only to young people interested in Georgian studies but also to a wider audience.*

*Mr. Revaz, first as a teacher and later as a colleague, embodied for us the highest standards of professional privilege, academic rigor, and intellectual refinement. Just as he was in personal relationships, so too do his scientific writings reflect that same elevation of thought.*

*Professor Sherozia's research is remarkably diverse. At present, we highlight his contributions to the study of Georgian (Kartvelian) language policy, which necessarily involves reflection on the structure of the Georgian (Kartvelian) linguistic system itself. There is no scholarly work of Professor Sherozia—whether dealing with issues of Kartvelian linguistic structure, etymological inquiry, or other fundamental problems of national Georgian studies—that does not emphatically stress the idea that „the Kartvelian linguistic space is a unified whole and must not be fragmented into several languages.”*

*“The Georgian nation was shaped by the Kartvelian linguistic system. The Kartvelian ecclesiastical, literary, and state language was created by the Tao-Klarjeti Georgians, the Tush, the Mingrelian-Laz, the Khevsur, the Meskhetian, the Svan, and the Kakheti-Ingilo communities. In this language were written the martyrdoms, the historical chronicles, *The Knight in the Panther's Skin*, *The Lake of Bazaleti*. Even today, the Georgian people perceive, create, and experience the world through the Kartvelian language. The inhabitants of different regions of Georgia, through its diverse dialectal forms, continue to share with one another joy and sorrow, thought and experience. The strength of the Kartvelian language lies in its unity and diversity!”*

*In Professor Sherozia's multifaceted works, imbued with deep scholarly integrity, numerous pressing issues of linguistic systems and language policy are raised, issues whose resolution is of paramount importance. For this reason, it is essential that future generations become acquainted with the ethos and legacy of our senior teacher and distinguished researcher.*

„ქართველი ერი ქართველურმა ენობრივმა სისტემამ ჩამოაყალიბა. ქართველური საეკლესიო-სალიტერატურო და სახელმწიფო ენა ტაო-კლარჯეთელებმა, თუშებმა, მეგრელ-ლაზებმა, ხევსურებმა, მესხებმა, სვანებმა, კახ-ინგილოებმა შექმნეს. ამ ენაზე დაიწერა მონამეთა წიგნები, საისტორიო ქრონიკები, „ვეფხისტყაოსანი“, „ბაზალეთის ტბა“. დღესაც ქართველი ერი ქართველური ენით აღწერს სამყაროს, ამ ენით ხედავს, ქმნის და გრძნობს. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი ამ ენის ნაირსახეობებით უზიარებენ ერთმანეთს სიხარულსა და სატკივარს, ნაფიქრსა და ნანახ-გაგონილს! ქართველური ენის სიმძლავრე ერთობასა და ნაირფეროვნებაშია!“ – ბატონ რევაზ შეროზიას სიტყვებია, რომელიც მის ყველა სტუდენტს ემასხოვრება, რადგანაც ამ სიტყვებით იწყებოდა მასთან ყოველი საქმიანი შეხვედრა; ამ იდეით ზრდიდა თაობებს. ქართველთა ეროვნული და ენობრივი იდეით იყო ნასაზრდოები მისი ყოველი ლექცია, არგუმენტირებული მსჯელობებით გაჯერებული. შთამბეჭდავი იყო მისი ყოველი ლექცია, რომელიც უმეტესწილად იყო ზეპირი ფორმატისა. ვიცით, ნაწერს სხვა ძალა აქვს, დროსთან თუ დროებასთან საბრძოლველად, ზემოთ წარმოდგენილი სიტყვების ავტორი კი ისე აფრქვევდა ქართული სიტყვის მაღლსა და სიკეთეს, რომ სიცოცხლეშივე ვერ მოახერხა თავისი ბევრი საინტერესო აზრის ნაბეჭდი სახით დატოვება. დაგვრჩა ხელნაწერები და უდიდესი პასუხისმგებლობა, რომ შეუძლებელია ეს ხელნაწერის ფორმით დარჩეს და არ გავუზიაროთ ქართველური ენათმეცნიერებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას. წინამდებარე ნაშრომიც ამ მისიას ემსახურება. ნაშრომში ძირითადად თავმოყრილია მასალა, რომელიც ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა, პროფ. რეზო შეროზიამ ხელნაწერი ფორმით მოგვანოდა და დღემდე ბეჭდური სახით არ გამოსულა.

პროფესორი რევაზ შეროზია საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენელია. მისი ბიოგრაფია მეცნიერული და ადამიანური კეთილსინდისიერების უზადო მაგალითია. რევაზ შეროზიას ნაშრომების ნაკითხვა-გააზრება-გაანალიზება ქართველოლოგიით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის (და არამარტო) მათი სწორი ორიენტირების მიმცემი და დამკვალიანებელი იქნება. ბატონი რეზო როგორც მასწავლებელი და შემდგომ, როგორც კოლეგა, ეს იყო ჩვენთვის პროფესიული ფუფუნების, აკადემიზმის, ინტელექტუალიზმის ზენიტში მყოფობა. როგორც იყო ურთიერთობებში, ასეთივე სიმალლის არის მისი ნაფიქრ-ნააზრევი სამეცნიერო ნაშრომებში, (არაფერს ვამბობ მის ლიტერატურულ და მუსიკალურ მემკვიდრეობაზე)!

ბატონი რეზოს კვლევები მრავალფეროვანია. ამჟამად გამოყოფთ ქართული – მისი სიტყვებით, ქართველური – ენობრივი პოლიტიკის საკითხებს, რაც იმთავითვე გულისხმობს ქართული (ქართველური) ენობრივის სისტემის თემაზე მსჯელობასაც. აქვე შევნიშნავთ რომ შესიტყვება – ქართველური ენა, ქართველთა (კახელთა, ქართლელთა, იმერელთა, სვანთა, მეგრელთა, ლაზთა...) დედაენის მნიშვნელობით პირველად რევაზ შეროზიამ გამოიყენა. ის უპირატესობას ამ ტერმინს ანიჭებდა (უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ).

არ არსებობს პროფ რევაზ შეროზიას ისეთი სამეცნიერო ნაშრომი, იქნება ეს ქართველური ენის სტრუქტურის საკითხების, ეტიმოლოგიური დაკვირვებების თუ ეროვნული ქართველოლოგიის სხვა რიგი პრობლემების შესახებ, სადაც ის ხაზს არ უსვამდეს, რომ თანამედროვე ქართველურ ენათმეცნიერებაში „ქართველური ენობრივი სივრცე ერთიანია და ის არ იყოფა რამდენიმე ენად!“ ის არ იზიარებდა ტრადიციულ კლასიფიკაციას სამი ან ოთხი ენობრივი სისტემის შესახებ. როგორც ეს კვალიფიციურებული იყო ქართველოლოგთა მიერ. იკვლევდა, თუ რა იყო მიზეზი რადიკალურად განსხვავებული ორი თვალსაზრისის არსებობისა? ანუ: რა ენათმეცნიერულ ფაქტებს ეყრდნობოდა ან ერთი, ან მეორე? ეძებდა მეცნიერულად ღირებულ არგუმენტს და ენის თეორიის მიხედვით გასაზიარებელს. ამ და მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემაა მთელი მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა. ამ ეტაპზე ჩვენ ყველას ცალ-ცალკე ვერ შევხვებით, თუმცა ზოგად სურათს წარმოგიდგინთ (შეროზია 2009: 295-296).

მთელი მისი პუბლიკაციების პათოსი არის გაანალიზოს მეცნიერული ქართველოლოგიის დასაწყისი და შემდგომ მისი განვითარების ეტაპები, კვლევის მეთოდები და მიმართულება.

მკვლევრის აზრით, მსოფლიოს ენათაგან რომელიმეს იშვიათად თუ გაუჩენია სპეციალისტებისთვის იმდენი თავსატეხი, რამდენიც ქართველური ენობრივი სისტემის კვლევამ წარმოშვა, – მცირე გეოგრაფიული არეალი როგორი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა, ასეთივე მრავალფეროვანია, შესაფერისია ენობრივი სისტემის სხვადასხვაგვარად რეალიზების ფაქტები.“ უფროსი მასწავლებლებისა და კოლეგების მიმართ მაღლიერებით განწყობილი მეცნიერი წერს, რომ კვლევა სწორად იქნა დაგეგმილი და კვალიფიციურად შესრულებული, – შესწავლილ იქნა სისტემის თითოეული სამეცნიერო ვარიანტი (დიალექტი), დიდი ყურადღება დაეთმო უძველესი ხელნაწერებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა-გაანალიზებას. თუმცა იქვე დანანებით აღნიშნავს, რომ „ქართველ მეცნიერებს დასაწყისშივე ჰქონდათ ობიექტური ხელის შემშლელი პირობები, რამაც, საბოლოო ჯამში, არათუ დააბრკოლა, არამედ მთავარი საკითხების შესახებ დასკვნებში იძულებითი, მაგრამ სერიოზული ცთომილებები გამოიწვია. მეცნიერული ქართველოლოგია კარგად დაიგეგმა, თუმცა გამოჩნდა სხვანაირად, განსხვავებულად დამგეგმავი მანქანა ქართველოლოგიისა, რამაც სხვა „ჩვეულებისაებრ სვლა აღარ გახლდათ!.“

1 იხ. ტ. ფუტყარაძე, ი. ვაშაკიძე „ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში: ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის პოზიციათა შეპირისპირებითი ანალიზი“, თბილისი 2011.

ჩვენი მეცნიერებისათვის უპირველეს დამაბრკოლებელ ფაქტორად მკვლევარი თვლის რუსულ-ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის დიქტატს. ის ასახელებს ამ იდეოლოგიის სხვადასხვა გამოვლინებებს. საკმარისად თვლის გავიხსენოთ, 1860 წლიდან მოყოლებულ ეთნო-ლინგვისტურ დივერსიებს ქართველი (და არამარტო) ერის წინააღმდეგ, რაც სხვადასხვა სახით გაგრძელდა XX საუკუნეში, 30-იან წლებში (ყვანიების გამოხდომები, 50-იან წლებში მგელაძეზე მიბმული „მეგრელთა საქმე“ და ა.შ. აიკრძალა მეგრულის კვლევა (გავიხსენოთ ვ. თოფურიასთან დაკავშირებული ინციდენტი ცკ-ში), რამაც სერიოზული დალი დაასვა ქართველოლოგიას. პროფ.რევაზ შეროზია ამ ფონზე გამირობის ტოლფასად მიიჩნევს არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიასა და სხვათა ნაშრომების გამოქვეყნებას. განსაკუთრებით ეს ითქმის არნ. ჩიქობავას ნაშრომებზე („ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, „შედარებითი ლექსიკონი“). დანაწევრებით დასძენს: – „სამწუხაროდ, მსგავსი კვლევა, სისტემის ანალიზი აღარ გაგრძელდებულა. ძირითადი ყურადღება ფონეტიკა-ფონოლოგიაზე გამახვილდა. თუმცა, აქაც თვალსაჩინოა მეგრულ-ლაზურის მონაცემთა ნაკლებობა (შეროზია 2009:295).

მეცნიერი სხვა თანამოაზრეებთან ერთად ასკვნის, რომ მეფეების, იმპერატორებისა თუ პრეზიდენტების (ასევე პოლიტიკოსების) დამპყრობლური იდეოლოგია განმსაზღვრელი აღმოჩნდა მსოფლიო ენათა კლასიფიკაციისას. ენის თეორეტიკოსთა დასკვნების პოზიტიურმა ნაწილმა ვერ შეაკავა პოლიტიკის ზეწოლა. სხვაგვარად ვერ აიხსნება ერთი სისტემისა და სტრუქტურის მეტყველებების დამოუკიდებელ ენებად კვალიფიცირება მხოლოდ იმის გამო, რომ ეს მეტყველებები სხვადასხვა სახელმწიფოებშია გავრცელებული (საკმარისია სკანდინავიის ქვეყნებისა და მათი „ენების“ დასახელება). ასეთ შემთხვევებში ლინგვისტიკას ადგილი აღარ ურჩება. ჩვენთან დაკავშირებით კი წერს, დამპყრობლური პოლიტიკისა („გათიშე და იბატონე“) და ლინგვისტიკის დამოკიდებულება თითქოს სხვაგვარი იყო. რუსული მანქანა XX საუკუნის დამდეგსაც აგრძელებდა კავკასიაზე „ზრუნვას“, ცდილობდა ერის ნაწილების ერთმანეთისგან გაუცხოებას და ამას აკეთებდა მათი „ენის“, „კულტურის“ დაცვის დეკლარირებით. ნებისით თუ უნებლიედ ლინგვისტიკა მალევე გამოჩნდა ამ პოლიტიკის დამხმარედ, როცა ჯერ კიდევ გამოუკვლეველი ლაზური და მეგრული მეტყველებები დამოუკიდებელ ენებად გამოცხადდა, – სპეციალისტებისთვის ცნობილია ნ. მარისეული, მისთვის ჩვეული ნიჭიერი ზერელობით გაკეთებული დასკვნები ლაზურისა და მეგრულის შესახებ. როცა ის თავის წიგნში („გრამატიკა ჭანური (ლაზური) ენისა“) ლაზურსა და მეგრულს ენებად მოიხსენიებდა, მეგრულის შესახებ ჯერ არ არსებობდა ი. ყიფშიძის გამოკვლევა, ხოლო თავისი ნაშრომის მიხედვით ნაკლებად ჰქონდა მსგავსი დასკვნების გამოტანის საფუძველი.

არსებითად იგივე ითქმის მის მიმართაც, რადგან, როცა ის „ქართველურ ენათა გენეალოგიის სქემას“ ადგენდა, არ იყო გამოკვლევული არათუ ქართველური სისტემის თავისებურებანი, არამედ ამ სისტემის სტრუქტურული ნაწილი, უძველეს წერილობით წყაროთა მონაცემები, მათთან შეფარდებული დიალექტთა ჩვენებით. „ჭანურის

გრამატიკული ანალიზით“ არნ. ჩიქობავამ საფუძველი ჩაუყარა კვლევის სწორ მიმართულებას, თუმცა შემდგომში მსგავსი მუშაობა აღარ გაგრძელებულა (რ. შეროზია).

გასული საუკუნის მანძილზე ისტორიულ-შედარებითი მეთოდით მუშაობამ ქართველოლოგებს დიდი წარმატებები მოუტანა. თუმცა, მკვლევარი მაინც უკმაყოფილოა, რადგან მხოლოდ ფონეტიკა-ფონოლოგიაზე იყო ყურადღება გადატანილი და ინდოევროპული ენების გამოცდილებამ ბგერათშესატყვისობის დადგენით მათი ნათესაობის გარკვევა, ცუდად იმოქმედა ქართულ რეალობაზე. ცხადია, ინდოევროპელებისთვის ეს წინ გადადგმული ნაბიჯი და პროგრესული მოვლენა იყო ენათმეცნიერებაში, მაგრამ ქართველურ მეტყველებებს შორის ნათესაობის მტკიცება ღია კარის მტვრევას წარმოადგენდა. არგუმენტი კი ასეთი მყარია: უცხოელი ლინგვისტებისთვის, რომელთათვისაც მხოლოდ სალიტერატურო ენის სტრუქტურული ელემენტები თუ იყო ცნობილი, მისგან ფონეტიკური თავისებურებებით განსხვავებული მეტყველებები, ცხადია, „სხვა“ ენები იქნებოდა. მაგრამ საკითხავია, ქართველ ენათმეცნიერებს რატომ დასჭირდათ ქართლ-კახურის, მეგრულ-ლაზურისა და სვანურის ნათესაობის მტკიცება?! თუ სულხან-საბასდროინდელი ქართველებისთვის ან XVIII საუკუნის მიწურულს „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ შემადგენელ-ხელისმომწერლებისთვის არ იყო გასარკვევი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა ნათესაობა, რატომ გახდა ეს საჭირო XX საუკუნის ქართველებისათვის?! (რ. შეროზია).

მეცნიერი არ დავობს იმაზე, რომ მეგრულ-ლაზურ და სვანურ მეტყველებებში გარკვეული ფონეტიკური (და არა ფონოლოგიური!) ცვლილებები დასტურდება. არც ბგერათშესატყვისობათა შემთხვევებიანო უყურადღებოდ დასატოვებელი, მაგრამ „ნათესაობის“ სამტკიცებლად განა არ გვჭირდება მორფოლოგიური ელემენტები, რაზეც არნ. ჩიქობავა მიუთითებდა? – სვამს კითხვას და უპასუხებს: „სისტემა“ და „სტრუქტურა“ ტერმინები ხშირად სინონიმებად მოიხმარებოდა. „სტრუქტურა“ შემადგენელი ნაწილების აღმნიშვნელია (=რა-ს), ხოლო „სისტემა“ ამ სტრუქტურული ნაწილების ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს (=როგორ-ს). მაგალითისთვის: „წოდებითი ბრუნვის“ მორფოლოგიურ ელემენტად გამოცხადება სისტემის მოთხოვნათა უგულვებელყოფის შედეგი იყო, – ცხადია, ის, რაც წინადადების შენებაში მონაწილეობას არ იღებს, მორფოლოგიური ელემენტი ვერ იქნება. ამ შემთხვევაშიც მეგრულ-ლაზურისა და სვანურის ჩვენებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, – აქ მიმართვის ცალკე ფორმა არა გვაქვს და არც ჩანს, რომ იყო.

ქართველოლოგიაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით „ზანურსა“ და „სვანურ“ „ენებშია“ ცვლილებები მომხდარი, ამ „ენათა“ მონაცემებია მეორეული, ხოლო ამოსავალ ვითარებას „ძველი“ და „ახალი“ ქართული გვიჩვენებს. გ. მაჭავარიანი ბგერათშესატყვისობებზე საუბრისას შეუძლებლად მიიჩნევდა ზანური მასალის პირველადობას, ხოლო არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით ზანურში მოხდა არტიკულაციის გადანევა. მაგრამ ქართლ-ქორთ ტიპის მცდარი შეპირისპირების მაგალითები ეტიმოლოგიურ ძიებებში არაერთია. მიზეზი ამისა, ჩანს, ორგვარია: ერთი

მხრივ, ზანურ-სვანური მასალა არ არის გათვალისწინებული; მეორე მხრივ, შეინიშნება ბგერათშესატყვისობის მაგალითების „გაბევრების“ სურვილი, – სხვაგვარად ძნელია ახსნა ისეთი შემთხვევებისა, როცა აშკარა „ზანიზმი“ გურულში შეპირისპირებულია ისევ მეგრულ-ლაზურთან: ბანდლ ძირი დადასტურებულია გურულ და იმერულ მეტყველებებში. იგი გურულში ზანიზმად სამართლიანად არის მიჩნეული ს. ჟღენტის მიერ. ამავე დროს, ბანდლი შეუპირისპირდა მეგრული მეტყველების ბონდლ ფორმას, როგორც ა:ო ბგერათშესატყვისობის ნიმუში (ფერნიხი, სარჯველაძე). მაგრამ საანალიზო მასალაში არ ჩანს მეგრულის ეკიბანდლ (აიბურდა) ზმნური ფუძე, რომელიც ა-ხმოვნია. ამ ა და ო-ხმოვნიანი ფორმების არსებობა აჩვენებს, რომ იმერულ-გურულისა და მეგრულის ეს მასალა ბგერათშესატყვისობის ნიმუშად ვერ გამოდგება.<sup>1</sup>

პროფ. რევაზ შეროზიას აზრით, ქართველური სისტემის „ენებად“ დაყოფის თვალსაზრისს ბგერათშესატყვისობის გარდა ამყარებენ გაგებინების შეზღუდულობის არსებობით. გაგებინება კი ლინგვისტური კრიტერიუმი არ არის. ის ენის სისტემის ნაწილი, სტრუქტურული ელემენტი არ გახლავთ და ვერ გაანალიზდება როგორც ენათმეცნიერული ფაქტი.

გაგებინების გამოყენება ენათა კლასიფიკაციის კრიტერიუმად უშუალოდ მიეზღვის ტრადიციულ შეხედულებას, რომლის მიხედვით ენის მთავარი ფუნქციაა ადამიანებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფა. მაგრამ მეტყველება (წერიტი თუ ზეპირი) ხომ აზრის რეალიზაციაა, – ჯერ აზრი უნდა წარმოიქმნას, მისი „წარმოთქმა“ კი შემდგომი, მეორეული აქტია. „მე“ არსებობს მანამ, სანამ ენის სისტემით სამყაროს აღქმა შეუძლია. არ არსებობს მასალა, რომელიც მიგვანიშნებდა, რომ სვანური, მეგრული, ლაზური, ხევსურული, კახური... მეტყველებები სხვადასხვა სისტემებისანი არიან და ისინი ისევე განსხვავებულად „ხედავენ“ მზეს, როგორც თურქი, რუსი, ფრანგი, ჩინელი...

ამ თვალსაზრისის დასადასტურებლად მას მოჰყავს არნ. ჩიქობავას სიტყვები: „ზანური ენის (მეგრულ-ჭანურის) ამოსავალია უკვე ჩამოყალიბებული (ხაზი ავტორისაა, რ.შ.) მეტყველება იბერიული წყების ერთ-ერთი დიალექტისა, რომელიც დალექილია (ხაზი ავტორისა, რ.შ.) ძველი ქართული სამწერლო ენის შედგენილობაში“. „ძველი ქართული სამწერლო ენის შედგენილობის სირთულე, რასაც ბუნებრივად ექცეოდა ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ვ. თოფურია), ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გამოვლენილი; საამისოდ საჭიროა ძველი ქართული სამწერლო ენის ჩვენებათა დეტალური ანალიზი – მორფოლოგია – სინტაქსისა, ლექსიკისა და ფონეტიკის მხრივ – თანამედროვე ქართული დიალექტებისა და ზანურ-სვანურის მონაცემთა სრულად გამოყენებით“ (არნ. ჩიქობავა, ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და დამახასიათებელი ძველი ნიშან-თვისებები, იკე II).

1 რ. შეროზია, ქართველური მემკვიდრეობა, ქართველური ეტიმოლოგიური მასალისთვის, XVII, 2013. გვ. 358-359.

დიდი მეცნიერის ეს მოსაზრება შემდგომში სპეციალისტებმა უყურადღებოდ დატოვეს. მრავალი საინტერესო ნაშრომი დაინერა სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების შესახებ, მაგრამ „ზანურ-სვანურის მონაცემთა სრულად გამოყენება“ ვერ მოხერხდა, – ქართველოლოგიამ ჯერ ვერ გაარკვია, „ძველი ქართული სამწერლო ენის შედგენილობაში“ რა არის „დალექილი“ ზანურ-სვანურიდან.

მეგრულ-ლაზურ მეტყველებაში მხოლოდ ძველი სამწერლო ენისთვის დამახასიათებელი არაერთი სტრუქტურული ელემენტი თუ ლექსიკური ერთეული დასტურდება. სამწერლო ენაში ზოგი მათგანი შუა საუკუნეებისთვის უკვე იკარგება, სხვა ელემენტი ცვლის. მაგალითისათვის: ძველ ტექსტებში (ასევე „ვეფხისტყაოსანში“), როგორც ცნობილია, ინტენსიურად იხმარება ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმები, რომელთაც შემდეგ -თვის, -კენ თანდებულებიანი ბრუნვა ცვლის. ის, რაც ნორმა ათი საუკუნის წინანდელი სამწერლო ენისთვის, დღესაც აუცილებელი მორფოლოგიური ელემენტია მეგრული მეტყველებისთვის. ანუ, ამ უკანასკნელმა შეინარჩუნა უძველესი ენობრივი ნორმა. ძნელი დასანახი არ იყო, რომ მეგრულის თიშა (მისად) ფორმაში დ ფონეტიკურ ნიადაგზე დაკარგული. სადაც ეს ფაქტორი არ მოქმედებს, დ შენარჩუნებულია: ჩქიმდა (ჩემდა). ანალოგიური ვითარებაა ძველ ტექსტებში (ვ. თოფურია).

მსგავსი ფაქტობრივი მასალა არაერთია მეცნიერის ნაშრომებში, რაც სათანადო კვალიფიკაციას მოითხოვს და, ამავე დროს, აუცლებელია მათი გათვალისწინება, როცა მეგრულ-ლაზური მეტყველებისა და სამწერლო ენის ურთიერთმიმართებაზე ვსაუბრობთ.

თხუთმეტი საუკუნის მანძილზე სხვადასხვა ტექსტებით ფიქსირებული ქართველური ენა და მისი მრავალფეროვანი სამეტყველო სახეობანი უტყუარი და ზუსტი მემატიაანეა ერისა. მისი „ნაამბობი“ აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საისტორიო წყაროებს. მეტიც, მემატიაანეთა ინფორმაციები შესაძლებელია ენის მონაცემებით შემონმდეს. მაგრამ – არა პირუკუ.

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ავტორებმა ქართ=ქორთ შეიტანეს, როგორც ბგერათშესატყვისობის ნიმუში. ამავე დროს, მსჯელობის გარეთ დატოვეს მეგრულ-ლაზურსა და სვანურში დადასტურებული თბილისის აღმნიშვნელი ქართ-ი. ხოლო საისტორიო ნაშრომებში საქმის ვითარება ისეა წარმოჩენილი, თითქოს საქართველოს ისტორიის რომელიღაც მონაკვეთში არსებობდა „ქართის ტომი“, რომელმაც თავისი პოლიტიკური გავლენა დაამყარა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში და ქართველთა თვითსახელწოდებაც ამ ტომის სახელიდან მოდის. ამას მოჰყვება შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გაკრიტიკებული „ქართი-ზაციის“ აბსურდული, დაუსაბუთებელი თეორია, რომელიც პირდაპირ კავშირშია ისტორიკოსთა ნაწილის მიერ გაზიარებულ მოსაზრებასთან, რომლის მიხედვით IX-X საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველოს ეკლესია და ქვეყანაც ბერძნულენოვანი იყო, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ მოხერხდა მისი „გაქართუ-

ლება“. მსგავს მსჯელობას, რბილად რომ ვთქვათ, არავითარი ისტორიული და ენობრივი არგუმენტი არ ახლავს.

ქართ ძირ-ფუძე დასავლურ-ქართველური მეტყველების შემონატანია სამწერლო ენაში, რასაც დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდება. ამავე დროს, ძველ ქართველურ მწერლობაში არაერთი ლექსემა დასტურდება, რომელთა „ზანურობა“ ეჭვს არ იწვევს (ბორკილი, უბადო, ჩაფულა(ნი), ოჭანს, ურჩხი...). მეორე მხრივ, ქრისტიანულ ტერმინთა ანალიზი ცხადყოფს, რომ დასავლეთ საქართველოს არც ეკლესია და არც ხალხი არასოდეს ყოფილა ბერძნულენოვანი. ქართველური სიტყვა-ფორმები თანაფა, ქირსე, ნათუა, წაკურთხია... აშკარად მიუთითებენ, რომ პირველი მოციქულების შემოსვლისთანავე ეს ტერმინები ჩამოყალიბებული და მათ საერთო არაფერი აქვთ ბერძნულ ენასთან. დასავლურ-ქართველური მეტყველებები („ზანური“, „სვანური“) არასოდეს დასცილებია საერთო ქართველურ ენობრივ-კულტურულ სივრცეს. რაც შეეხება პოლიტიკურ ასპექტს, „ქართლის ცხოვრება“ და მწერლობის უძველესი ნიმუშები ცალსახად მიუთითებენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანობაზე მაშინაც, როცა აღმოსავლეთ საქართველო სხვა ძალას ემორჩილებოდა, დასავლეთი – სხვას, – არაბების პერიოდში და მონღოლების დროსაც დასავლეთის მეფე-მთავრები ეხმარებოდნენ აღმოსავლელებს და, იმავე დროს, იყვნენ გარანტები ენისა და ერის ერთიანობისა.

პროფესორი ჩანანერებში შენიშნავს: უაღრესად საინტერესო და ზუსტია აკად. ქ. ლომთათიძის სიტყვები: „საქართველოს როცა უჭირდა, შველა ყოველთვის დასავლეთ საქართველოდან მოდიოდა“.

ერთ ენობრივ სივრცეში მოქცეული ხალხი ერად რომ იქცეს, მან თავისი „მსოფლხედვით“, ენით უნდა შექმნას ზოგადსაკაცობრიო მწერლობა, კულტურა, ხელოვნების ნიმუშები, – ყოველივე ეს გააერთიანებს ამ ხალხს და ერად აქცევს. დღევანდელ მსოფლიოში (მათ შორის ჩვენს სამეზობლოში) ხალხთა ენობრივი ჯგუფები მოიპოვებინ, რომელთაც ერად ჩამოყალიბებამდე საკმაო მანძილი აქვთ გასავლელი.

საისტორიო წყაროების მიხედვით, ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისს ქართველობა ერის სახით შეხვდა. მემატინე მოგვითხრობს: პირველი მოციქულების შემოსვლისთანავე ჩვენმა ხალხმა ძალდაუტანებლად გაიზიარა ჯვარცმულის შეგონებები. ადერკი მეფემ ბრძანა, მოსახლეობა კვლავ ძველი სარწმუნოებისკენ მოექციათ. ხალხმა „დამალნეს ხატნი და ჯვარნი-ო“, შენიშნავს მემატინე. ქართველობისათვის ქრისტიანობაში ჩადებული ფასეულობანი უცხო არ ყოფილა, ქართველის „მსოფლხედვაში“, მის ბუნებაში უკვე იყო ყველაფერი ის, რასაც „საყვარელი შვილის“ პირით უფალი გვიქადაგებდა. ეს იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ ამ დროისთვის ქართველი ერი უკვე არსებობდა.

არტურ ლაისტის შენიშვნა, ქართველურ მწერლობაში ზღვა არ ჩანსო, „ვეფხისტყაოსანს“ ნამდვილად არ ეკუთვნის, – მთელი სიუჟეტის ძირითადი, მთავარი ნაწილი ზღვის სანაპიროს „ქვეყნებში“ ვითარდება. დასაბანია, რომ რუსთველოლოგებმა, ლი-

ტერატურის კრიტიკოსებმა ეს ვერ დაინახეს. „ქართიზაციის“ იდეით გატაცებულმა ისტორიკოსებმა კი ვერ შეამჩნიეს, რომ რუსთაველი პოეტური ენით გადმოგვცემს მემატიანის მიერ მოთხრობილ ქუჯისა და ფარნავაზის ისტორიას. ეს ფაქტი უნდა მიანიშნებდეს, რომ მემატიანის ნაამბობი გამოგონილი არ არის და ის ისტორიის რეალური ნაწილია. ამავე დროს, ოცდასამი საუკუნის წინ ქუჯისა და ფარნავაზის ერთობლივი ეს ქმედება ერთიანი, ერთად ჩამოყალიბებული ხალხის დანახვისკენ გვიბიძგებს. ერი კი ერთიანი „მსოფლხედვის“, ენობრივი სისტემის გარეშე არ არსებობს.

ზემოთ თქმულს საწინააღმდეგოდ თუ ჩავთვლით, თანამედროვე ქართველობა არჩევანის წინაშე დგას: მან ან უნდა უარყოს თავისი ენობრივი სივრცის („მსოფლხედვის“) რამდენიმე ენად დაყოფა, ან უნდა აღიაროს, რომ დღეს ქართველი ერი აღარ არსებობს, რადგან თეორიულადაც შეუძლებელია ერთ ადამიანს, ერს სააზროვნოდ ორი ან მეტი ენობრივი სისტემა ჰქონდეს.

ქართველური ენობრივი სივრცის რამდენიმე „ენად“ დაყოფის შედეგია ის, რომ „ცხელი თავები“ სამეგრელოსა და სვანეთში ცდილობენ მეგრული და სვანური (ასევე ლაზური) მეტყველებების „ემანსიპაციას“, – ენათმეცნიერებმა დაადგინეს, რომ სვანური, მეგრული, ლაზური და ქართული სხვადასხვა „ენებიაო“. ამას საუკუნეზე მეტია, რუსული მანქანა ხელს უწყობს. ასეთ ვითარებაში თქმა იმისა, რომ ქართულია სამწერლო ენა და სხვა დანარჩენი უმწერლობო ენებიაო, ლინგვისტური თვალსაზრისით უმართებულოა, ხოლო ქართველ ერთან მიმართებაში – მიუღებელი. ასევე გაუმართლებელია სვანურის, მეგრულ-ლაზურის ქართული ენის დიალექტებად კვალიფიცირება. ტრადიციული, ზოგადი „ქართული“ ტერმინის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ ამ შიდა და გარე შემოტყვევების ფონზე ლინგვისტურადაც სწორი იქნებოდა XIX საუკუნეში გაფორმებული და საკმაოდ პოპულარული „ქართველური“ ტერმინის გამოყენება, – ამ ერთიანი „ქართველური ენის“ სახესხვაობებია, მეტყველებებია სვანური, ხევსურული, ქართული, ლაზური, იმერული... ან: ქართველური ენის სვანური ჯგუფის, ქართული ჯგუფის ზანური ჯგუფის მეტყველებები.

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით „ქართველური“ დაბრკოლებებს ან უხერხულობას არ ქმნის: „ქართველური ენა“, „ქართველური ხელოვნება“, „ქართველური მწერლობა“, „ქართველური ფოლკლორი“, „ქართველური დამწერლობა“... შინაარსობრივად სრული ინფორმაციების დამტვევი სინტაგმებია. როგორც ჩანს, XIX საუკუნის მოღვაწეები ამას გრძნობდნენ, როცა „ქართული“ და „ქართველური“ ტერმინებს შორის უპირატესობას ამ უკანასკნელს აძლევდნენ. ნ. ბარათაშვილს თავისუფლად შეეძლო ეთქვა: „ერთსაც ქართულად კიდევ შესძახებს“-ო, მაგრამ მან დანერა: „ერთს ქართველურად...“

ტერმინ „ქართველური-ს“ დამკვიდრება სასიკეთო იქნება, რადგან, ერთი მხრივ, იგი თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს ყველა ქართველურ მეტყველებას. მეორე მხრივ, (და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია), მოხსნის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ხელოვნურად თუ შეცდომით დათესილი ენობრივი გაუცხოების პროცესს,

რაც უაღრესად საშიშია ერის მთლიანობისთვის. ქართველმა ენათმეცნიერებმა ეს საშიშროება დღეს თუ ვერ დაინახეს, მომავალი თაობები, ანგლომანიით გატაცებულები, ვეღარ გაუმკლავდებიან ერის დაკნინების პროცესს.

ქართველოლოგთა წინა თაობების ღვაწლის დამფასებელი გახლდათ, პატივსაც სცემდა მათ, მაგრამ ახალი მასალის წარმოდგენას სათანადო დასაბუთებით მიესალმებოდა. ასეთი მუშაობისკენ უბიძგებდა დიდი მეცნიერი არნ. ჩიქობავა თავის სტუდენტებსო – გვმოდღვრავდა ხოლმე.

პროფ. რევაზ შეროზიას მრავალმხრივ საინტერესო მეცნიერული პატიოსნებით გამსჭვალულ ნაშრომებში წარმოდგენილი ენობრივი სისტემის თუ ენობრივი პოლიტიკის არაერთი პრობლემური საკითხია დასმული, რომლის გადაჭრა საშური საქმეა. ამიტომაც ჩვენი უფროსი მასწავლებლის და გამორჩეული მკვლევრის სამეცნიერო მემკვიდრეობის პათოსს უნდა იცნობდეს მომავალი თაობა. ამ პრობლემისთვის თვალის მოხუჭვა და უყურადღებობა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

კ. გამსახურდია და ქართველური ენობრივი სამყარო, ქართველური მემკვიდრეობა, XII, 2008.

„ვეროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო 2010 (ტ.ფუტკარაძესთან და ე. დადიანთან თანაავტორობით).

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან I, კრ. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, I, 2009.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან II, კრ. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, I, 2009.

ჩიქობავა 1939: ჩიქობავა არნოლდ, პროფ. იოსებ ყიფშიძე და ჭანურის გრამატიკული შესწავლა, „ჭანური ტექსტები“, თბილისი, 1939.

გივი მაჭავარიანი – „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“, თბილისი, 1965.

ნიკო მარი, გრამატიკა ჭანური (ლაზური) ენისა. თბილისი 1910.

არნ. ჩიქობავა, ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და დამახასიათებელი ძველი ნიშან-თვისებები, იკე II.

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონი“: ფეინრიხი-სარჯველაძე „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. 2000.

„ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, „შედარებითი ლექსიკონი“ – „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“ (1936).

ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი (მეგრული ენის გრამატიკა), თბილისი, 1994.